ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4239227

ნომერი: AR1634538

თარიღი : 02.10.2018

გაცემის თარიღი : 29.10.2018

გაცნობის თარიღი : 29.10.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი III , კორპუსი 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია გაბუნია პ/ნ 01006010668
- თბილისი ბერბუკის ქ. N 10 ბ. 122

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. დამატებით ატვირთეთ იმ ფასადის გვერდითა ხედის ფოტო (სადაც ხდება საჩრდილობლის მოწყობა) ტროტუარის ჩვენებით და ამავე ფოტოზე დამუშავებული საჩრდილობლის ფოტომონტაჟი, სადაც ყველა გაბარიტულ ზომებთან ერთად მითითებული იქნება ტროტუარის მთლიანი სიგანე და საჩრდილობლიდან ტროტუარის კიდემდე მანძილი. (თქვენს მიერ მითითებული მანძილი, ხე ნარგავებამდე და გამწვანებამსწ 2.50 არარეალურია, საჭიროა მითითებულ იიქნას არსებულ ნაქვის ხეებამდე მანძილიც)

აქვე გაითვალისწინეთ: „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების 34–ე მუხლის მე–5 პუნქტის მიხედვით დასაშვებია მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების ქუჩის ან სხვა საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-დან 4.5 სიმაღლეზე დროებითი მსუბუქი კონსტრუქციების, ფარდულების, ტენტების, მარკიზების შეჭრა. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საყრდენი სვეტების მოწყობა ისე, რომ ხელი არ შეეშალოს ტროტუარის ფუნქციონირებას. ამასთანავე ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან ასეთ არქიტექტურულ ნაწილებამდე, მათ შორის საყრდენ სვეტებამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასავლელის სიგანე უნდა იყოს მინიმუმ 1.2 მ.

2. რაც შეეხება ქუჩის მხარეს გამომავალ ფასადზე კონდიციონერის მოწყობას, გაცნობებთ:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის თანახმად, სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. მათი არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი, მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ- მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე. ვინაიდან, აღნიშნული ფასადი გამოდის ქუჩის მხარეს, მასზე კონდიციონერის მოწყობა არ არის შესაძლებელი.

სამსახურის №4231614 გადაწყვეტილებით დაგევალათ წარმოგედგინათ განახლებული დოკუმენტაცია, ამავე გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ სათანადო და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩებოდა განუხილველი. ვინაიდან ზემოაღნიშნული ხარვეზი არ არის გათვალისწინებული, №4231614 გადაწყვეტილების შესაბამისად, წინამდებარე განცხადება ამ ეტაპზე დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.